განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება გამოწვეულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს სისტემაში ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებისა და საჯარო სამსახურის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის ეტაპობრივი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, აგრეთვე მთელი რიგი სისტემური ცვლილებების გატარება იმ ორგანოებში, რომლებიც სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ საჯარო სამსახურის პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში. საჯარო სამსახურის ბიუროსთან (პროექტის შესაბამისად, საჯარო სამსახურისა და დეკლარაციების ბიუროსთან) მიერთების გზით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ექცევა საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში (ბიუროს დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს, აგრეთვე ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი) რის შედეგადაც ამაღლდება ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის ხარისხი, გაიზრდება მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ბიუროზე დაკისრებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით შესაბამისად, „საჯარო სამსახურის ბიურო“ გარდაიქმნება „საჯარო სამსახურისა და დეკლარაციების ბიუროდ“. ეს უკანასკნელი შეითავსებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ფუნქციებს.

კანონპროექტის 129-ე მუხლში საჯარო სამსახურისა და დეკლარაციების ბიუროს, მასთან თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს მიერთებიდან გამომდინარე, ემატება ისეთი ფუნქციები, როგორიცაა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღება, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უზრუნველყოფა, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება, რაც გათვალისწინებულია „საჯარო

სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტით.

კანონპროექტის თანახმად, კანონის 130-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით. ამდენად, ბიუროს უფლებამოსილება მოცემულია ორ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, ამ უკანასკნელთა რეგულირების სფეროს გათვალისწინებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია - საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია - საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი.